ტერიტორიაზე მოქმედებდა, მაგრამ  
მთავარი ამოცანები, რა თქმა უნდა,  
ბაღდადში წყდებოდა. იქ, სადაც მათი  
დაცვის ქვეშ დანიის საგარეო სამინის-  
ტროს თანამშრომლები, დამლომატები  
და სამხედრო მოხელეები იყვნენ.

**დანიელ სპერაზმელთა სწავლების პრო-  
გრამაში საპარამუტო მომზადებაც შედის**





# რიჩარდი

1157-1199

ინგლისის დიდ მეფედ წოდებული მეფე რიჩარდი უმცროსად საფრანგეთში ცხოვრობდა. როგორც მთავარსარდალი, მეტწილად ლამაზობაში იყო. ბრძოლის ველზე სიკვებემ მეტსახელად Coeur de Lion – „ლომგული“ დაემკვიდრა.

## მეამბოხე ვაჟი

1157 წლის 8 სექტემბერს პენრი II-სა და ელენორ აკვიტანიელს ოქსფორდში ვაჟი შეეძინათ. ბიჭი საფრანგეთში აღიზარდა. თერთმეტი წლისა აკვიტანიის პერცოვი გახდა, ხოლო პუატის — თხუთმეტისა. მძებთან ერთად მამას აუჯანყდა. აჯანყება ჩაიშალა. პენრი II-ს აკვიტანიის ორგერ მოუწია ლაშქრობამ, რათა რიჩარდი დაემორჩილებინა. დედამისი დაატუსაღეს. რიჩარდს მიუტყვევს, თმცა სამფლობელოების დასაცავი ბძილა არ შეუსწვევტია. რადგან პენრის სურდა, რომ აკვიტანია უმცროსი ვაჟისთვის მიეცა, რომელსაც შემდგომ ჯონ უმცროსი ეწოდა, რიჩარდი საფრანგეთის მეფე ფილიპ II-ს შეეკრა. მათ პენრის ლე-მანიდან სომიურამდე სდიეს და მალე აიძულეს, რიჩარდი კენო ტახტის მემკვიდრედ. მძიმედ სნული პენრი II 1189 წლის 6 ივლისს გარდაიცვალა.

რიჩარდმა მამის გარდაცვალების შემდეგ ნორმანდიის პერცოვის ტიტული მიიღო. ორი თვის შემდეგ ინგლისის გვირგვინიც დაიდგა თავზე. მაგრამ სამშობლოზე დიდად არ შესტკიოდა გული, იქ მხოლოდ სიცოცხლის უკანსტელი ათი წლის განმელობაში

სულ რაღაც ქექსი თვე გაატარა. როგორც კი ჯარი შეყარა, წმინდა მიხისკენ აიღო გეზი. ინგლისი დედამისს, ელენორ აკვიტანიელს გადააბარა, რომელიც მძის საწინააღმდეგო ინტრიგებში გახლართული იყო. მისი მძხანი იერუსალემის წართმევა იყო სალადინისთვის, რომელმაც ქალაქი ორი წლის წინ აიღო.

## ჯვაროსანი მეფე

რიჩარდი გამოზამთრებას სიცოლიაში გეგმევა, მაგრამ სიცოლიელთა მტრული დახვედრის გამო მესინის დაპერობა მოუხდა, სადაც თავისი მძისწული სცილის მეფის ქალზე ქორწინებით სამეფოს მემკვიდრედ აქცია.

პალესტინისკენ მიმევალა, კვიპროსიც დაიმორჩია, სადაც 1191 წლის 8 ივნისს მისი მოკეუმრე ფილიპ II ჩვიდა და ისრაელის ქალაქ აკრის, თანამედროე აკოს, ალყის გარღვევაზე დათანხმდა. ქალაქი აკრა ორი წელი იყო ალყაში. რიჩარდმა ქექს კვირაში დაამარცხა მაჰმადიანი დამპერობნი, ქალაქი აიღო და 2700 სამხედრო ტყვეს თავი მოჰკვეთა.


რიჩარდმა სხედასხვა ქექვის ჯეა-



## ქრონოლოგია

- \* 1157 დაიბადა 8 სექტემბერს, ოქსფორდში.
- \* 1168 აკვიტანიის პერცოვი გახდა.
- \* 1173-74 აუჯანყდა მამას, პენრი II-ს.
- \* 1189 ინგლისის გვირგვინისანი გახდა.
- \* 1190 წმინდა მიწაზე გამგზავრა; დაიპტრო მესინა.
- \* 1191 წმინდა მიწაზე ჩვიდა და აკრა დაიმორჩია. არსეფთან სალადინს სძლია.
- \* 1192 სალადინს დროებით დაუხედა. ეფრეციასთან გეზი დაეღუბა. ესტრის პერცოვმა დაატუსაღა.
- \* 1194 გამოასყაფის მიცემის შეზღვევათი და ინგლისში დაბრუნდა. ხელახლა დაიდგა გვირგვინი და ნორმანდიაში დაბრუნდა.
- \* 1199 გარდაიცვალა შალიოში.

ციხე-სიმაგრე დიურმტანი, სადაც მეფე რიჩარდი დაკეუბული ჰყავდათ



რონებები ერთ ძალად შეადუღება და გაუძლეა ზღვის სანაპიროსკენ, სადაც მისი გემებით იოლი იქნებოდა მოძრეობის გადაყენა. გზად სალადინის მხედრობასთან უწყველად შეტაკება. მან ქეომრები შეაჩერა და ჯარის შეჯგუფება დაიწყო. უკვე 7 სექტემბერს არსუფთან გადაწყვეტ ბრძოლაში მან სალადინი დაამარცხა.

სალადინმა იერუსალიმისკენ დაიხია, მაგრამ სადაც კი გაიარა, ყველაფერი ცეცხლს მისცა და თავის უკან გადამწვარი მიწა დატოვა. ზღვის სანაპიროსა და ფლორენსიან შორს მყოფმა რიჩარდმა ჯვაროსნების დახმარება ვერ შეძლო, ამიტომ ამბიციურ გეგმაზე — იერუსალიმის დაპყრობაზე ხელი აიღო. მთელი წელი გაგრძელდა ბრძოლა და უკვე 1192 წელს სალადინი სამწლიანი ზავის დათანხმდა, რთაც აკარა და ზღვის მცირე სანაპირო ზოლი ჯვაროსანთა ხელში დარჩა. ამით კი ქრისტიანებს საშუალება მიეცათ წმინდა მიწები მოელოცათ.

რიჩარდი მინ გაემგზავრა, მაგრამ ვენეციასთან ზომილი დაეღუპა და მხელეთით გადაწვევითა მგზავრობა. შენიღბული, საიდუმლოდ მიდიოდა, მაგრამ 1192 წლის დეკემბერში ვენასთან შეიპყრეს. ინგლისელებს გამოსახყიდად უდიდესი თანხის — 150.000 მარკის შვაროებამ მოუწიათ დედოფალ ელეანორის თაოსნობით რიჩარდს სამეფოს დათმობაც მოუხდა, თუმცა ფეოდალური მამულის სახით მიწები მაინც დაუბრუნდა. ამასობაში კი მისმა ძმამ ჯონმა სკად ტახტის ხელში ჩაგდება და ამაში ფილიპ II დაეხმარა. რიჩარდი 1194 წლის თებერვალში გაათავისუფლდა და ინგლისში დაბრუნდა, სადაც ხელმოწერულ დაიდგა გვირგვინი.

ჯონი ვანდვენეს, მაგრამ მოგვიანებით მისს შუერთდა. ერთ თვეში რიჩარდი ნორმანდიაში დაბრუნდა, ინგლისი კი მთავარი მინისტრის, პუბერტ ვალტერისა და კენტერბერის არქიშისკოპოსის ხელში დატოვა. საფრანგეთში რიჩარდი ფილიპ II-ს გაუგებად ბრძოლა გამოუცხადა. 1192 წელს, როდესაც არქიშისკოპოსის სმაგურეს შემართება აღვა ლიძოქში, შალიოსთან, ის არბალეტის ისრით დაჭრეს მხარში, რის შემდეგაც ვანგრენა განუყოფიარდა. რიჩარდი II 1199 წლის 6 აპრილს გარდაიცვალა, 42 წლისა.

**ჯვაროსნული ღაშპრობისას**

● 1175 და 1185 წლებს შორის რიჩარდს უღმობელი მმართველის სახე-

**საქართველოს ისტორია ოთხ ტომად**  
შპველენი დროიდან XX საუკუნის პოლომდე

**გპითხველთა თსოვნიტ**  
**ოთხსტომეშული მესაგედ დანიგაჰდა**

ნოგნის ავტოროვბი

მარიკა ლორთქიშანიძე, როინ მებრაველი  
ანდრია აზვაძე, დავით მუსხელიშვილი  
და სხვები.



იომენი  
საქართველოს  
ისტორია  
შენს თაროში

სასაჩუქრე  
გამოცემა

შასნი  
59.99

ლომბაზდ ილუსტრირებული, უნიკალური ფოტო მასალით

**იკითხეთ ნიგნის პალაზიანი!**



ლი გაუკარდა, რადგან საფრანგეთში ამბოხების მომწყობით სასტყად სჯიდა. 1179 წელს მან ტაბიურის შუეკალი ციხესმაგურე აიღო სენტ-უანში.

● რიჩარდი თავის ჯვაროსნულ ლაშქარს პალესტინის სანაპიროზე გაუძლეა ბრძოლაში. ჯარი სამწყოროდ ჰყუდა დავენებული, სამი დღეიხითურთ, რითიც კარგად იყო დაცული სალადინის არბალეტებით შეიარაღებული მხედართა იერიშისგან. 1191 წლის 7 სექტემბერს სალადინმა არსუფთან შუეტრია ჯვაროსნებს. რიჩარდმა ჯარის შუნარუნება და შეტყვის მოგერიება მოახერხა. შემდეგ კი, როდესაც მამადანებე მოიღალნენ, რიჩარდმა ჯარის შუნარუნება და შეტყვის მოგერიება მოახერხა. შემდეგ კი, როდესაც მამადანებე მოიღალნენ, რიჩარდმა ჯარის შუნარუნება და შეტყვის მოგერიება მოახერხა. შემდეგ კი, როდესაც მამადანებე მოიღალნენ, რიჩარდმა ჯარის შუნარუნება და შეტყვის მოგერიება მოახერხა.

მტერს. რიჩარდმა დღენის შუქვეტა უბრძანა მოწინავეებს, რათა მამადანებეს უღბანში არ შეტყუებინათ ჯვაროსნები. ბრძოლაში სალადინის 7000 მტერსოლი დაეცო, რიჩარდის ჯარის დანაკარგს კი 700 კაცისთვის არ გადუჭარბებია.

● რიჩარდმა ხუთი წელი შეალია ფილიპ II-სთან ბრძოლას საფრანგეთში ინგლისის კუთვნილი მიწების შესანარუნებლად. ეს მიწები მამინ დაიკარგა, როდესაც მისი ძმა ჯონი აჟიდა ინგლისის ტახტზე. ანჟუსთან, მენთან, აკვიტანიასა და გასკონიაში ბრძოლებისას მათ მლიერი ფორტიფიკაციები ააგო. მათ შორის დიდი შტო-გაიარი მდინარე სენის კუნძულზე.

მოამზადა

ლევან ინსარანიძე





# კა შეუძლია ისრაელის ავიაციას...

## როგორი საპაეო გარემოებათ შეიძლება შეიზაროს ისრაელის საჰაერო ძალების ბირთვული უპირატესობა

ირანის ბირთვული პროგრამის შექრებას ისრაელის ხელისუფლება დიდი ხანია ცდილობს, ოღონდ ძირითადად საიდუმლო ოპერაციების საშუალებით. საერაოდ, სწორედ ისრაელის სპეცსამხაზებში, მათ შორის პოლიტიკური დაზვერა „მოსადი“ და გენშტაბის სადაზვერუო დანაყოფი „საიერიშო მარტალი“ არიან გარეულნი იმ ტერორისტულ თავდასხმებში თეირანში, რომლებსაც ბირთვულ ფიზიკაში მომუშავე ოთხი ირანელი მეცნიერი, ასევე სარაკეტო სისტემებზე მომუშავე გენერალი შეეწირა.

თუმცა ასეთი სპეცოპერაციები საკმარისი არ არის ირანის ბირთვული ამბიციის შესაჩერებლად. მაინცაი თელ-ავეშში, სადაც არც მალავენ, რომ ამზადებენ „წერტილოვან“ საჰაერო დარტყმებს ირანის ბირთვულ ობიექტებზე. აქამდე ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ორჯერ მართლაც უზუსეტესი საჰაერო დარტყმებით გაანადგურეს შეზობელი ქვეყნების ბირთვული ამბიციები. 1981 წლის 7 თენისს (საგულეს-ხმოა, რომ ამ ოპერაციამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ბირთვული პროგრამაზე მომუშავე სამი ერაყელი მეცნიერი საეჭვო ვითარებაში ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპა. ანუ იმავე სექსით, როგორც დღეს ირანელ ფიზიკოსებს ანადგურებენ) ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ექვსი F-15 და 8 F-16 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებისგან შემდგარმა ჯგუფმა დაბალ სიმაღლეზე იორდანისა და საუდის არაბეთის საჰაერო სფეროების გავლით მოულოდნელი საჰაერო დარტყმა მიაყენა ერაყის ატომურ ელექტროსადგურს ბაღდადის სი-

საბრძოლო დაჯგუფების შესასრულებლად აეროდრომებზე „გარინდებელი“ ისრაელის F-15-ები...



ახლოებს და უვნებლად დაბრუნდნენ უკან.

სხვათა შორის, როგორც ზოგიერთი ირანელი ისტორიკოსი აცხადებს, ოპერაცია „ოპერამდე“ (ასე უწოდეს ებრაელმა სამხედროებმა ერავის ატომური რეაქტორის განადგურების გეგმას), ერთი თვით ადრე პარიზში ისრაელისა და ირანის სპეცსამსახურებმა მიადწინეს შეთანხმებას, რომლის თანახმადც ისრაელის თვითმფრინავების კრავული ატომური რეაქტორის დაბომბვის შემდეგ სათადარიგო აეროდრომად ირანის ქალაქის თერაზის საჰაერო ბაზა შექმნილი გამოეყენებინათ, ამასთან, ირანელებმა ებრაელი სამხედროები ერავის ტერიტორიის დაზუსტებული რუკებით მოამარაგეს.

დღეს ეს დაუკვრებლად მიჩანს, მაგრამ 1981 წელს ირან-ერავი გააფრთხილეს სისხლისმღერელ ომში იყო ერთმანეთთან ჩაბმული და საეკებით დასაშვებია, რომ ირანი გარკვეულწილად დაეხმარა ისრაელს ერავული ატომური რეაქტორის განადგურებაში.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მცირე წარმატებული ოპერაციის შესახებ, რომელიც ასევე მუხბოელი ქვეყნის ატომური რეაქტორის განადგურების მიზნით ჩატარდა, ბევრად ნაკლებია ცნობილი, რადგან თავად სირიის ზღისუფლებამ დამალა, რომ მისი ტერიტორია ისრაელის თვითმფრინავებმა დაბომბეს.

2007 წლის 6 სექტემბერს ისრაელმა სირიაში, იაბის დასახლებულ პუნქტში გაანადგურა ბირთვული რეაქტორი, რომელიც საერაოდოდ ჩრდილო კორეის დანაშაულებით იყო ამუშავებული, — ასეთი შინაარსის საიდუმლო წერილი გაუგზავნა 2008 წლის 25 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო მდიანმა კონდოლიზა რაისმა ამერიკელ ელჩებს, რაც მოკვაინებით WikiLeaks-მა გამოაქვეყნა.

სირიამ არაფერ პროტესტი განაცხადა ან ისრაელის საჰაერო ძალებთან დაუკერა, არამედ სასწრაფოდ



ებრაელი ბილოტები მზად არიან ირანის მიმართულებით სარისკო გაფრენებისთვის

გაწმინდა დაბომბილი ობიექტი ნანგრევებისგან და პირში წვალი ჩაიკვება, საერაოდოდ, იმიტომ, რომ მისთვის გაეროს ბირთვული იარაღის შექმნაზე გასაიდუმლოებული მუშაობა არ დაებრალებინა.

ასე თუ ისე, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებს ორჯერ ძალზე გაუმართლა, — ყოველგვარი დანაკარგის გარეშე მათ 1981 და 2007 წწ-ებში მუხბოელ ერავსა და სირიას თითო-თითო ბირთვული რეაქტორი გაუნადგურეს, რითაც ფაქტობრივად ამ ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის შექმნის პერსპექტივა მოსაქეს.

მაგრამ მოიტანს თუ არა კოკა ყოველივეს წვალს? ირანის ბირთვული ობიექტების განადგურება ისევე ადვი-

ლი არ იქნება, როგორც ერავისა და სირიის. თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ბევრად მეტი მანძილითაა დაშორებული ისრაელიდან და თანაც რაოდენობრივად უფრო მეტია, ანუ ისრაელის მიერ დაგვამილი საჰაერო ოპერაციის მასშტაბი და შესაბამისად სირთულეც ბევრად დიდი იქნება.

მაგალითად, ისრაელის ერთ-ერთ უკიდურეს ადმოსავლეთით განთავსებულ ნევატიმის 28-ე საჰაერო ბაზიდან (სადაც F-16A/B ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებია დისლოცირებული), ირანის უკიდურეს დასავლეთ საზღვრამდე 1022 კმ-ია და ისიც პირდაპირი ხაზით. ირანის ბირთვული ობიექტები კი ქვეყნის შუაგულშია თვითმფრინული და საზღვრიდან

... და F-16-ები







**ჩვენი დროსი:** ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების რიცხოვნობა 34 ათასი კაცია. რეზერვისტთა რიცხვი 55 ათასს აღწევს. მასში სტრუქტურულად გაერთიანებულია ავიაციის ოთხი კატეგორია: ტექნიკური, საჰაერო თავდაცვის გამანადგურებელი ავიაცია, სადამცვერი და სატრენინგო დანაყოფები. შეიარაღებაშია 480 საბრძოლო თვითმფრინავი და 81 დამრტყმელი შვეულმფრინი. ისრაელის ტერიტორიაზე 10 სამხედრო-საჰაერო ბაზაა, რომელთაგან სამს სამოქალაქო ავიაციაც იყენებს. ისრაელის საჰაერო ბაზების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რომ აეროდრომებს, როგორც წესი, ორი-სამი (ერთს კი ხუთი) ასაფრენ-დასაფრენი ბეტონირებული ზოლი აქვს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებიდან უზრუნველყოფენ აფრენა-დაფრენას. ეს შექმნილია არ არის, რათა მოწინააღმდეგე საჰაერო დაბომბვებით ვეღვათ მიმართულებების ზოლი ერთდროულად ვერ გამოიყენოს მწიობრიდან. ვეღვათ ასაფრენ-დასაფრენი ზოლი ნეგატმის 28-ე საჰაერო ბაზას აქვს, 3900 მ სიგრძის (ამ ბაზაზე სხვადასხვა სიგრძის კიდევ ოთხი ასაფრენ-დასაფრენი ზოლია). საერთო ჯამში ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში სხვადასხვა მოდიფიკაციის 87 ცალი F-15 (მათ შორის 25 F-15I), 309 F-16 (მათ შორის 102 F-16I Sufa) ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი, 33 AH-1 Cobra-სა და 48 AH-64 Apache-ს ტიპის დამრტყმელი შვეულმფრინავია.

კიდევ 500-1000 კმ-ია გასაფრენი. გამოდის, ისრაელიდან აფრენილმა საბრძოლო თვითმფრინავების ვჯუღმა სულ პირდაპირი ხაზითაც რომ ფრინოს (არადა, ასეთი რამე არ ხდება, რადგან ირანამდე მისაღწევად მათ ორი-სამი ქვეყნის საჰაერო სივრცე ექნებათ გადასალახი და ევლებიან ფრენის მარშრუტი ისე ააგონ, რომ გვერდი აუარონ რადიოლოკატორებსა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების განმანდგურებელი (ირანის ბირთვულ ობიექტებამდე მისაღწევად სულ მცირე 1500-2000 კმ-ის დაფარვა მოუწევთ.

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში ვეღვათ თანამედროვედ 25 ცალი F-15I ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენი და 102 F-16I Sufa-ს ტიპის მრავალდანიშნულების გამანადგურებელი თვითმფრინავი.

F-16I Sufa-ზე დაყენებულია კონფორმული ტიპის ორი აუზი (ფიუზელაჟის ორივე მხარეს ფრთების ოუზზე), რაც 50%-ით ზრდის მასი ფრენის სისივრცეს და საბრძოლო მოქმედების რადიუსს 1500 კმ-მდე ადის. კონფორმული აუზების უპირატესობაა ის, რომ ისინი პილონებზე არ არის ჩამოკიდებული და გათავისუფლებული პილონებით დამატებითი ბომბებისა და რაკეტების წაღება შეიძლება. პილონებზე ჩვეულებრივი დამატებითი საწვავის აუზების ჩამოკიდებაც შეიძლება, რაც უფრო გაზრდის „სუფას“ საბრძოლო მოქმედების რადიუსს, მაგრამ შეამცირებს საბრძოლო დატვირთვას.

თავის მხრივ, F-15I-ის საბრძოლო

მოქმედების რადიუსად 1500-2000 კმ ითვლება, თუმცა ეს მონაცემი იზრდება დამატებითი საწვავის აუზების ჩამოკიდების დროსაც.

სხვათა შორის, ისრაელის სამხედრო უწყება, სავარაუდოდ, სპეციალურად არ აზუსტებს ამ საბრძოლო თვითმფრინავების ფრენის სისივრცესა და საბრძოლო მოქმედების ზუსტ ციფრებს.

არსებობს კიდევ ერთი გზა ისრაელის დამრტყმელი თვითმფრინავების ფრენის სისივრცის გასაზრდელად, — პაერში საწვავით დამატებით გაწვობა საჰაერო ტანკრებიდან. ითვლება, რომ ისრაელის შეიარაღებაშია 5 KC-130H და 4 (სხვა მონაცემებით 7-8) KC-707 ტიპის საჰაერო ტანკერი.

ითივლედ მათგანს ერთდროულად სამი თვითმფრინავის გაწვობა შეუძლება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ თვითმფრინავების ფრენის სისივრცეს, მაგრამ მთავარი პრობლემაა, სად უნდა მოხდეს პაერში საწვავის გადასხმა.

ისრაელიდან ირანში მოსახვედრად თვითმფრინავებსა იორდანის, საუდის არაბეთის, სირიის, თურქეთის და ერაყის საჰაერო სივრცეებში უნდა გადალახონ (გააჩნია ფრენის მარშრუტს) და არსად არის გარანტია, რომ ცაში საჰაერო ტანკერს რამდენიმე წუთით საწვავის გამწვობა მილით „მოკრულ“ თვითმფრინავებს, რომლებიც სწორხაზოვნად მიფრინავენ საშუალო სიმაღლეზე, მინიდან ხაზენიტო რაკეტებს არ ესკრანა.

ისრაელის დამრტყმელ ავიაციას ასევე გაუჭირდება „წერტილოზიან“ საჰაერო დარტყმების მიყენება ირან-



ირანის წინააღმდეგ შესაძლო საჰაერო ოპერაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა საჰაერო ტანკრების გამოყენებას მიენიჭება



**ისრაელის მიერ ირანის ბირთვული ობიექტების  
სააბაოო დაზოგვის შესაძლო მარშრუტები**

- 1 ისრაელი-იორდანია-საუდის არაბეთი-ერაყი-ირანი
  - 2 ისრაელი-იორდანია-ერაყი-ირანი; 3 ისრაელი-სირია-ერაყი-ირანი
  - 4 ისრაელი-სირია-თურქეთი-ირანი; 5 ისრაელი-ირანი-აზერბაიჯანი
- ☢ — ირანის ბირთვული ობიექტები

არსებობს 5 საპაერო მარშრუტი, რომელთა გამოყენებითაც ისრაელმა შეიძლება სცადოს ირანის ბირთვული ობიექტების დაზოგვა.

პირველი მარშრუტი ისრაელიდან იწყება, გადის იორდანიაზე, შემდეგ საუდის არაბეთზე, ერაყის საპაერო სფეროში ირანის საზღვრამდე. სხვათა შორის, სწორედ ასეთი მარშრუტი გამოიყენეს ებრაელმა პილოტებმა 1981 წელს ერაყის ატომური რეაქტორის დაბომბვისას და არც შემცდარან, რადგან ერაყის საპაერო თავდაცვა არ ელდა საუდის არაბეთიდან ისრაელის საბრძოლო თვითმფრინავების შეტრას.

მეორე მარშრუტი პირველზე მოკლეა და ამასთან მხოლოდ ორი ქვეწიხი — იორდანია და ერაყის საპაერო სფეროები გადარბას გულისხმობს. ამასთან, ისრაელს ორდინანსიან კარგი მუშობილური ურთიერთობა აქვს და საგარეო დიალოგის საშუალება, რომ იორდანიაზე ხელისუფლებას ნებას დართავს მის საპაერო სფეროში ისრაელის დამრტყმელი თვითმფრინავების საპაერო ტანკრებებიდან საწყობი დამატებითი გაფორმებზე. მესამე მარშრუტიც ასევე ორ ქვეწიხანზე — სირიასა და ერაყზე გადის, მაგრამ იორდანიაზე

განსხვავებით სირია ისრაელის მიმართ მტრულადაა განწყობილი და, ალბათ, ხელიდან არ გაუშვებს ირანისკენ მიმავალი ებრაელი პილოტების ჩამოვლების შანსს.

მეოთხე მარშრუტი სირიასა და თურქეთის მოიცავს, რაც ასევე ძველად წარმოსადგენია, სირიასავით თურქეთის ისრაელთან არ უთმია, პირიქით, ბოლო პერიოდამდე ისეთი საუკეთესო თანამშრომლობა ჰქონდა, რომ ებრაელი პილოტები თურქეთის ცაშიც კი ეშვადებოდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც ისრაელის სპეცრაზმმა დაზის სექტორისკენ მიმავალი „მშვიდობის ფლოტილის“ დაკავებისას თურქეთის რამდენიმე მოქალაქე მოკლა, ურთიერთობა ანკარასა და თელ-ავივს შორის უკიდურესად დაიძაბა, ამიტომაც თურქეთი არ დაუშვებს, რომ მისი საპაერო სფეროდან ისრაელის თვითმფრინავებმა ირანი დაბომბონ.

მეხუთე მარშრუტი ყველაზე საინტერესოა და ის უშუალოდ ეჭება სამხრეთი კავკასიას, კერძოდ კი აზერბაიჯანსა და ნაწილობრივ საქართველოსაც.

ახლანან ამერიკულმა მასშტაბიან გააერცულა სენსაციური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ისრაელმა დაი-

თანხა ოფიციალური ბაჟო აზერბაიჯანის რამდენიმე აეროდრომიით სარგებლობის უფლებების გადაცემაზე. თუკი ისრაელის თვითმფრინავებს ირანის დაბომბვის შემდეგ უკან დასაბრუნებელი საწყები არ ეყოფო, ისინი აზერბაიჯანის აეროდრომებზე დასხდებიან. ამასთან, აზერბაიჯანში განთავსდება ისრაელის სამხედრო-საპაერო ძალების 669-ე საავიაციო სამსვენლო-სავერკუაციო დანაყოფი, რომელიც ირანის ტერიტორიაზე კატაპულტირებულ ებრაელი პილოტებს მოიხმის.

თავის მხრივ, ოფიციალური ბაჟო კატეგორიულად აცხადებს, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ირანის დაბომბვის უფლებას არავის მისცემენ, თუმცა ამ განცხადებაში არ არის ნათქვამი, მიიღებენ თუ არა ირანიდან შემოიფრენილ ისრაელის საბრძოლო თვითმფრინავებს.

თუკი ისრაელის თვითმფრინავები მართლაც აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის აეროდრომებზე და ბაჟო მათ მართლაც არ მისცა უფლება უკან დასაბრუნებლად აზერბაიჯანიდან ირანში გააფრენაზე, მაშინ თვითმფრინავების ეკიპაჟები იძულებული იქნებიან საქართველოს საპაერო სფეროს გავლით საბერძენიოდე ჩაადრინონ, შეეხონ საწყების მარაგი და ისე დაბრუნდნენ ისრაელში.





ნის ბირთვულ ობიექტებზე, თუკი არ ეყოლება მონაწილეობა, რომელიც პორტატული ლაზერული აპარატურით „მონიშნავენ“ დასაბომბ ობიექტებს. არსებობს მეორე ვარიანტიც, — ირანის სტაციონარული სამხსენების ზუსტი კოორდინატები უკვე განსაზღვრულია GPS-ის აპარატურით და ეს მონაცემები შეყვანილია ისრაელის მართვადი ბომბებისა და რაკეტების დამიზნების სისტემაში.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რაც ისრაელის ოპერაციის წარმატებით დასრულებას შეიძლება დაემუქროს, ირანის ბირთვული ობიექტების ნაწილის მიწისქვეშა ბუნკერებში გადატანის მიმოცეხია. ისრაელელი გენერლები იმტოტა ნერეულობენ, რომ იცან, მათ შეიარაღებაში არსებული ბუნკერსაწინააღმდეგო მართვად ბომბებს გაუჭირდებათ იმ ირანული ობიექტების განადგურება, რომლებიც უკვე ღრმად მიწის ქვეშ, 60-100 მ-ის სიღრმეშია ჩატანალი.

ერთადერთი მძლეური ბუნკერსაწინააღმდეგო მართვადი სააეაციო ბომბი, რომელსაც 61 მ-ის სიღრმეზე

შეუძლია ჩაღწევა და ობიექტის განადგურება, ამერიკული GBU-57A MOP-ია. იგი 13,6 ტონას იწონის. 20 ასეთი ბომბი 2011 წლის სექტემბერში დაამზადეს სტრატეგიული B-2 „სპირიტების“ შესაიარაღებლად.

ამ ამერიკულ „უხილავ“ ბომბდამშენს კი შეუძლია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძლეური არაბირთვული ბომბის წაღება, რასაც ვერ ვიტყვით ისრაელის F-16-ებსა და F-15-ებზე, რომელთა პილონებზე მხოლოდ 2270 კგ მასის GBU-28 ტიპის ბუნკერსაწინააღმდეგო ბომბების ჩამოკიდება შეიძლება, რომლებიც 60 მ სიღრმეში ნამდვილად ვერ ჩააღწევენ.

საჰაერო ტანკერების დაძატებითი რაოდენობისა და მძლეური ბუნკერსაწინააღმდეგო ბომბებისა და მათი გადამტანი სტრატეგიული ბომბდამშენების გარეშე, ისრაელს ძალზე გაუჭირდება თავისი ძალებით მხოლოდ საჰაერო დარტყმებით ირანის ბირთვული ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა, როგორც ეს ერაყსა და სირიაში გააკეთა.

ერთადერთი სახელმწიფო, ვისაც სერიოზული დახმარების გაწევა შეუძ-

ლია ირანისთვის, აშშ-სააშშ-საშინგტონში არ სურთ ახალ დიდ ომში ჩართვა (ერაყისა და აფღანეთის ომების კვალობაზე) და ყველაწიარად ცდილობენ ისრაელს თავი შეეკავებინონ ირანის ატომურ ობიექტებზე თავდასხმისგან, მით უმეტეს, რომ ამერიკულ დაზვერვას არ სჯერა ირანის ბირთვული ბომბის შექმნის უახლესი პერსპექტივისა.

მთავარი სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის ორჭოფული პოზიცია შეიძლება ისრაელისთვის საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის კატალიზატორად იქცეს. თულ-ავივში იცან, რომ საკუთარი შეიარაღებით მდლიანად ვერ გაანადგურებენ ირანის ბირთვულ ობიექტებს და, შეიძლება, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი ბირთვული ბომბების გამოყენებაც კი განიზრახოს.

ეს შეიძლება მართლაც ძალზე გაბედული ვარაუდია, მაგრამ ისრაელის დამრტყმელ თვითმფრინავებს მართლაც შეუძლიათ იმ ბირთვული ბომბების წაღება, რომელთა არსებობას ისრაელის მთავრობა დღემდე არც უარყოფს და არც ადასტურებს.

**ირაკლი ალადაშვილი**

ისრაელის 669-ე სააეაციო სამაჰელლო-საეაკუაციო დანაყოფს კატაპულტირებული პილოტების მოქმანა და გადარჩენა ევალება...



# პარაშუტები



## ყველაფერი იწყება ილიდან

პაერში ფრენის სურვილი ადამიანს უხსოვარი დროიდან ჰქონდა და ამიტომაც მჭობუე ოკეანის ასათვისებლად სხვადასხვა მიწეობილობას იგონებდა.

ოცნების ზორცმესხმას დიდი სტიმული მისცა მრეწველობისა და სამხედრო საქმის სწრაფმა განვითარებამ. თანდათან ადამიანმა პაერში ვერ საპაერო ბურთით, შემდგომ კი აერობლანით იფრინა.

ერთი პაერზე მსუბუქ ან მძიმე საერე საშუალებებს იგონებდნენ, მორენი კი ამ საშუალებით დეამიწაზე სწრაფ და რაც მიაგარია, უსაფრთხო დაბრუნებაზე ფიქრობდნენ. საინტერესო ის არის, რომ ამგვარი აპარატის შექმნის იდეა საპაერო ბურთებსა და მით უმეტეს, აერობლანებზე გაცილებით ადრე გაჩნდა.

ცნობილია, რომ პირველი პროექტის ავტორი გენიალური იტალიელი მეცნიერი და მხატვარი ლეონარდო და ვინჩი იყო. 1495 წლით დათარიღებულ მის ხელნაწერებში პარაშუტის ესკიზი არის, სადაც ავტორის გათვლებით განსაზღვრული სიმაღლიდან ადამიანის უსაფრთხო დაშვებისთვის იდავეის 12X12-ზე სიგრძის ნაჭერი საკმარისი იქნებოდა. შუა საუკუნეების საზოგადოეროული იდავეი სხვადასხვა ქვეყანაში 50-დან 60-მდე სმ-ს უტოლდებოდა.

XVII საუკუნის დასაწყისში მორე იტალიელმა მეცნიერმა ფაუსტ ვერანჩინომ თავის ნაშრომში ანალოგიური აპარატი აღწერა და გუმბათის სიდიდე ადამიანის წონას დაუკავშირა.

ისტორიულ წყაროებს თუ ვენდობით, პრაქტიკაში პარაშუტი პირველად ფრანგმა ლაჟენმა გამოიყენა. დაუდასტურებელი ცნობებით, ეს XVII საუკუნის 20-იან წლებში მოხდა.

პატმარმა ლაჟენმა გაქცევა პარაშუტის დახმარებით სცადა, რისთვისაც ციხის ფაჯრიდან თორეულით შეკ



ლეონარდო და ვინჩის 500 წლის წინ შემუშავებული პარაშუტის პრინციპი, დღესაც შეუცვლელია


რლი თეითინაკეთი პარაშუტით გადმოშტარა და მიწაზეც დაშვებულა.

პარაშუტების მასობრივად გამოყენება XVIII საუკუნეში, საპაერო ბურთების ათვისებისას დაიწყო.

1783 წლის დეკემბერს პარაშუტის პირველი საჯარო დემონსტრაცია ჩატარდა. ფრანგი ფიზიკოსი ლუი ბლასტიან ლენორმანი ქალაქ მონაელიეში ობსერვატორიის სახურავიდან საკუთარი კონსტრუქციის პარაშუტით გადმოშტა. მასვე ეკუთვნის სიტყვა „პარაშუტის“ გამოგონება. „პარა“







ფრანგი ლეო ლენორმანი ოპერატორის სახურავიდან საკუთარი კონსტრუქციის პარაშუტით ხტება

ფრანგულად საწინააღმდეგოს, ხოლო „შუტე“ კი ვარდნას ნიშნავს.

თანდათან პარაშუტები საპაერო ბურთებით მოგზაურების მოყვარული აერონავტების აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

იმ პერიოდში საპაერო ბურთების გარსის დახვევის შემთხვევაში ხშირი იყო და პარაშუტე გადარჩენის ერთადერთი საშუალებას წარმოადგენდა.

1785 წელს ჟან ბლანშარს პარაშუტმა სიცოცხლე შეუნარჩუნა. საპაერო ბურთით ფრენისას გარსი გაიხა და დასალუბად განჩრდილი საფრენი აპარატიდან ბლანშარი პარაშუტით გადმოხტა.

სამწუხაროდ, მხოლოდ ოკეანის ათვისებას თან მსხვერპლიც სდევდა, ფრანგი ენთუზიასტები პილატრ დე როზე და ეთელ პიშენი პირველები იყვნენ, ვინც ფრენის სურვილს სიცოცხლე შესწირეს.

გარკვეულიწოდ მათი დაღუპვის მიზეზი უსართობების ნორმების დაუცველობა იყო. წარმატებაში დარწმუნებულებმა, მათ ფრენის წინ პარაშუ-

ტებზე უარი თქვეს. ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ პაერონოსობის მოსურნენი საყვილოდ სამაშველო მოწყობილობის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაარწმუნა.

პარაშუტის შექმნიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ მაყურებელზე პარაშუტისებოა ხტომები მაინც შეუდარებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ორასი წლის წინ კი პარაშუტით გადმოხტომა ფურორს იწყევდა. ვეროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, არაერთი მოხეტიალე პარაშუტისტ-აერონავტი იყო, რომლებიც გასაჩრდილოლს სანაცვლოდ საპაერო ბურთებიდან პარაშუტებით ხტებოდნენ.

პარაშუტებისა და პარაშუტისმის ბუქმა ვეროპიდან რუსეთშიც შემოიტანა. 1806 წელს რუსი პაერონოსანი ალექსანდრე სეკიოვი რუსეთში პირველი იყო, ვინც საპაერო ბურთიდან პარაშუტით გადმოხტა.

პარაშუტისმი სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს იზიდავდა, მაგრამ იმეორეულად პარაშუტებს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდათ, — დაშვებისას გუმბათი გამუდმებით ირწყობდა.

პრობლემის გადაჭრა ინგლისელებმა შეძლეს და 1834 წელს ბრტანელმა გამოგონებელმა კოჩინგმა წაკვივილი კონუსის ფორმის პარაშუტის გუმბათი შექმნა. მისდა საუბედუროდ, იმავე წელს საკუთარი გამოგონების გამოცდილას კოჩინგი დაღუპა.

მეორე ინგლისელმა, ლალანდმა, ტრადიციულ პარაშუტის გუმბათში ზღმდებე პაერის გასახველად (სწორედ ეს იწყევდა გუმბათის რწყევას) ნახურტის კაეფუბა გადაწყვიტა. პრინციპი იმდენად სწორი გამოდგა, რომ მას დღესაც იყენებენ.

მხოლოდ ოკეანის ათვისებას ადამიანი არა მხოლოდ საპაერო ბურთებითა და დირიჟაბლებით ცდილობდა. XIX საუკუნის მიწურულს პაერზე მსუბუქე საფრენ აპარატებთან ერთად, ადამიანმა აეროპლანების შექმნაც დაიწყო.

კაციოპრობის ისტორიაში ახალი — ავიაციის ხანა დაიწყო. აეროპლანებს სხვა ქვეყნებშიც აწყობდნენ და მალე დაეკავდა ფარმანის, ბლერის, ნიუპორის, სიკორსკის კონსტრუქციის თვითმფრინავები.

1908 წელს თვითმფრინავების სიჩქარე 60 კმ/ს-ს არ აღემატებოდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი 80 კმ/ს-ს გადააჭარბა.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი, მაგრამ საკუთარი კონსტრუქციის მომხრეები 100 კმ/ს-ით სიჩქარე ვანიფიცირებდნენ.

ყოველწლიურად იზრდებოდა თვითმფრინავების ფრენის სიჩქარე, სიმაღლე და მანძილი. ამ პროცესს თან ადამიანთა მსხვერპლიც სდევდა.

1908 წელს ამერიკელი ტომას სელფიჯი და ორიელ რაითი თვითმფრინავის ჩამოვარდნის გამო დაიღუპნენ. მომდევნო წლებში ავიაციასტროფებში დაღუპულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

თუ 1909 წელს ფრენის სურვილს 3 კაცი შეეწინა, 1910-ში მათი რიცხვი 32-მდე, 1912-ში კი 128-მდე გაიზარდა.

თვითმფრინავის სამაშველო საშუალების შექმნის საკითხი სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენდა. პარაშუტი, როგორც გადარჩენის საშუალება, უკვე დიდი ხანია იყო ცნობილი, მაგრამ თვითმფრინავიდან გადმოხტომისას მისი გამოყენება სულ სხვა პრინციპს მოითხოვდა.

პრობლემა რუსეთში გადაწყდა. საპარაშუტო საქმის ენთუზიასტმა გლებ კოტკენი კოვმა მსოფლიოში პირველად ზურგნაჩის ტიპის პარაშუტი დაამზადა, რომელიც უშუალოდ მფრინავზე იყო დატარებული.

კოტკენიკოვის ისტორიული დამსახურება პარაშუტის პრინციპის გამოგონებაში არ მდგომარეობს. ის ჯერ კიდევ ელონარო და ეიმანის დროიდან იყო ცნობილი. უბრალოდ კოტკენიკოვი პირველი იყო, ვინც ავიაციისთვის მოქმედი პარაშუტი მოიგონა.

მისი პარაშუტი PK-1 (რუსული კოტკენიკოვის — პირველი) მფრინავთა გადარჩენის საქმეში წინადადებული უდიდესი ნაბიჯია.

პარაშუტი 7 კგ-ზე ოდნავ მეტს და ლითონის ზურგნაჩითა კი 2 კგ-ს იწონის, ხოლო პარაშუტის გუმბათი აბრეშუმისგან იკრებოდა.

1911 წლის 9 ნოემბერს კოტკენიკოვმა გამოგონების დასაბუთებლად განაცხადი შეიტანა, მაგრამ პასუხს არ დალოდა და 1912 წლის იანვარში თავის ქმნილებას პარიზის საპატენტო ბიუროს წარუდგინა. იმავე წლის გაზაფხულზე კოტკენიკოვმა პატენტი მიიღო.

1912 წლის მიწურულს კოტკენიკოვმა ზურგნაჩის კონსტრუქცია დაიცვინა. მანკენზე ჩატარებული გამოცდილას მიღებული შედეგი პარაშუტის კონსტრუქციაში გაითვალისწინა, მაგრამ მის სერიულ წარმოებაზე არავინ

ფიქრობდა. სამხედროები PK-1-ს სკეპტიკურად უეურობდნენ.

კოტლენიკოვის გამოგონებით დაინტერესება არც მეფის მოთაბრებამ გამოსხატა, პარიჟით, ავიაციამ პარაშუტების გამოყენებას ვეგლანაირად ხელს უშლიდა.

პარაშუტების გამოყენების სასარგებლოდ გენერლების თხოვნას ნიკოლოზ II-მ ასეთი რეზოლუცია დაადო: „ავიაციაში პარაშუტები ზედმეტია. მცირე საფრთხის შემთხვევაშიც კი მფრინავები თვითმფრინავს მიატოვებენ და პარაშუტით გადმოხტებიან. აურომლანებს უცხოეთის ვეფილობით და ისინი ადამიანებზე ძვირი ღირს, ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ მფრინავებს კი ვოეფთავის ეიშოვით“.

რუსეთში პარაშუტების ძიძართ დამოკიდებულება პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ შეიცვალა და „ილია მურომიცის“ ტიპის ბომბდამშენების ეკიპაჟებისთვის კოტლენიკოვის პარაშუტების მცირე პარტიით (70 ერთეული) დამზადება გადაწყდა. პარაშუტებს პეტროგრადის ერთ-ერთი ქარხანა კერავდა.

ბომბდამშენების ეკიპაჟებს პარაშუტები კი დაურიგეს, მაგრამ სამხედრო

უწყებაში მფრინავებისთვის შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარება ფიქრად არაგის მოსვლია. შესაბამისად, მათი გამოყენება და მით უმეტეს, ზურგჩანაოში ჩალაგება, არაგის იცოდა.

პარიჟიანა, ზურგჩანათის ტიპის პირველი მოქმედი პარაშუტი რუსებმა შექმნეს, მაგრამ პრაქტიკაში ის ამერიკელებმა გამოცადეს. 1912 წლის 1-ელ მარტს ამერიკის არმიის კაპიტანი ალბერტ ბერი მსოფლიოში პირველი იყო, ვინც თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა. 500 მ-დან გადმოხტარმა კაპიტანმა პარაშუტი 350 მ-ზე გახსნა და თავისივე ნაწილის ტერიტორიაზე დაეშვა.

პირველმა მსოფლიო ომმა ბევრ სკეპტიკოსს პარაშუტებზე შეტეფილება შეაცვლივინა და თვითმფრინავების ბორტზე საიმედი სამაშელო საშუალებების საჭიროებაზე დისკუსიები შეწყდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს მხოლოდ მეფის რუსეთში მფრინავებმა პარაშუტებით 65-ჯერ ისარგებლეს, ხოლო აქედან 29 საწვინდელი გადმოხტომა და 36 კი იძულებითი იყო.

თუმცა ვეფლას არ გაუმართლა. იმ პერიოდში რუსები „ეჟო-შესასის“ ტიპის პარაშუტები იყენებდნენ და 65 გადმოხტომიდან 8 შემთხვევაში პარაშუტი არ გაიხსნა.

გერმანელებმა და ფრანგებმა პარაშუტების აქტიური გამოყენება 1915 წლიდან დაიწყეს. ვერდენისთვის ხარბილისას უეცრად ამოერინდლმა ძლიერმა ქარმა 20-ზე მეტი ფრანგული სადამკვირეფლო აეროსტატში გაიტატა. ტყვედ ჩაერდნის შიშით ფრანგებმა პარაშუტებით ისარგებლეს, მაგრამ ორი მათგანის პარაშუტი არ გაიხსნა.

1910 წლის დამლვეს საფრანგეთში საიმედი პარაშუტის შექმნაზე კონკურსიც კი გამოცხადდა. პარიზის თანახმად, მასა 25 კგ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო და 75 მ-მდე წონის ადამიანი უნდა გადაერჩინა.

საკონკურსოდ ფრედერიკ ბონემ ორიგინალური კონსტრუქციის ფიუნელაური პარაშუტი წარდგინა, რომელიც კაბინის უკან ფუნელაზე დამაგრებულ სპეციალურ ფურტლარში ინახებოდა.

გადმოხტომის წინ მფრინავი ფურტლარს ხსნიდა, ხოლო მიმწვდომი პაერის ნაკადი კი პარაშუტის გუმბათს შლიდა და მფრინავი კაბინიდან ამოჰყოფდა.



საპირო ბურთის გარის დახვეის შემთხვევაში, პარაშუტი აერონავტების გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო

ინოვაციურობის მიუხედავად, ასეთი სისტემა საკმაოდ მოუხერხებელი და რაც მთავარია, არასამედიო იყო.

ავიაციის გარიგრაზე ზმორი იყო შემთხვევები, როდესაც პარაშუტების შექმნას ავიაციისგან საკმაოდ შორს მყოფი ხალხი ცდილობდა.

1911 წელს ფრანგმა მკერაეებმა: ფრანსუა მაიერმა, ალბერტ ტრომერმა და ფრანსუა რეიპალტმა პირველი ხალხის პარაშუტი შექმნეს. მის ასამოქმედებლად მხოლოდ ქამრის გახსნა იყო საკმარისი. რეიპალტი იმდენად იყო დარწმუნებული გამოონების საიმედოობაში, რომ პარაშუტის გამოცდა თაედეგ გადაწყვიტა და ეიფელის კოშკიდან გადმოხტა. ექსპერიმენტი როლორც პარაშუტისთვის, ასევე მისი გამოცდელისთვის მარცხით დახრულდა. ამის შემდეგ პარიზის ხელისუფლებამ ეიფელის კოშკიდან პარაშუტით გადმოხტომა აკრძალა.

**ალმისანდრა ავანიამი**

გაგრძელება შემდეგ ნომერში





# როგორ შეაჩერა ქართველმა ვიცე-ადმირალმა ვესაემ ბსოვლიმ ომის დაწყება



## 50 წლის წინ ფიდელ კასტროს ბირთვულმოზინიანი რაკეტების ამერიკული ავიამზიდისკენ გაუშვებანი ხელი ქართველმა ვიცე-ადმირალმა გიორგი აბაშვილმა შეუხალა



**ვიცე-ადმირალმა გიორგი აბაშვილმა 6 წუთით შეაჩერა ბრძანების შესრულება, რითაც დედამიწა შესაძლოა მსოფლიო ომის დაწყებისგან გადაარჩინა...**

რიკლთა დესანტისთვის უნდა დაგვესწრო და 27-დან 28 ოქტომბრის ღამეს ბირთვულმოზინიანი რაკეტები ამერიკული ავიამზიდებისა და იმ სხვა ხომალდების მიმართულებით გაგვეშვა, რომლებსაც კუბა საზღვაო ბლოკადაში პეჯედით მოცეკვული.

იმ სათიბს „ღამის საშინელება“ ვუწოდებო. შტაბში ვიყავით შეკრებილი. სიმამაცისთვის ცოტა გადაეკარით ხუმრობა ხომ არ იყო, ყოველ წუთში შესაძლოა მსოფლიო ომი შეიძლება დაიწყებულიყო, რადგან თუკი ჩვენს რაკეტებით ბირთვულ დარტყმას მივაყენებდით ამერიკულ ფლოტს, ვაშინგტონი საპასუხო დარტყმებით არა მარტო კუბას გადაზოგუვდა, არამედ საბჭოთა ქალაქებისკენ გაუშვებდა ასობით ბირთვულმოზინიან ბალისტიკურ რაკეტას.

შუალამისას ნერვები დაწყებულა შეიდა. დახურული კაბინის ტელეფონი დუმს. მისკოფიდან არ რეკავენ. მაგიდასთან მჯდომმა ფიდელ კასტრომ ვედარ მოითმინა და ნერვიულად წამოიძახა, — „ახლავ დაჭირეთ თითი

რაკეტების გასაშვებ დილაკს!“ „ცოტა კიდევ მოეცალოთ“, — უპასუხა ვიცე-ადმირალმა აბაშვილმა. ორიოდე წუთის შემდეგ ფიდელ კასტრომ უკვე დაჭირებთ მოითხოვა რაკეტების გაშვება, „რადას ელოდებით, წინასწარი ბრძანება მისკოფიდან ხომ გაქვთ!“ — ვედარ ითმენდა კუბური რეგულაციის კომენდანტე. მაგრამ აბაშვილი ურყევად იდგა, — „დაველოდით მისკოფიდან ბრძანებას!“

გადის ერთი, ორი, სამი წუთი. ფიდელ კასტრო და გიორგი აბაშვილი თითო ჭიქა ლიქიორის გადაკვრას ასწრებენ ნერვების დასაწყნარებლად.

ექვსი წუთის შემდეგ მისკოფიდან ბრძანება მოდის — „შეაჩერეთ რაკეტების სტარტი!“ ყველამ შეშვით ამოვისუნთქეთ.

როგორც შეიძლება გავიგეთ, ხრუშჩოვი და კრემლი შთანთხმებულან, რომ თუკი საბჭოთა კავშირი კუბიდან გაიტანდა ბირთვულმოზინიან რაკეტებს, ამერიკა თავს აღარ დაეცხმოდა კუბას. შვიანხმებას ჯერ კიდევ დღისათვის მიაღწიეს, მაგრამ ჩვენ კუბაში დაგვიანებით შეგვატოვებინეს და რომ არა ვიცე-ადმირალ გიორგი აბაშვილის სიმტკიცე-ადილეველ ფიდელ კასტროს შეიძლება შესაძლოა მსოფლიო ომი წამოწყებოდა, — ეს მოგონება საჩუქდრო კენსიონერ ნი-

„დაზვერვამ შევატყობინა, რომ 110 ათასი ამერიკელი საზღვაო კვეითი 29 ოქტომბერს აპირებდა კუბის სანაპიროებზე გადმოსხდომას და ჩვენს განდევნებას.“

ჩვენ ბირთვულმოზინიანი რაკეტები კატარღებზე გადავტვირთეთ და საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანეთ. მისკოფიდან მოგვეცემა საიდუმლო ბრძანება, რომლის თანახმადაც აშე-



კოლაი ობიდის ეკუთვნის, რომელიც 1962 წელს ტალინში წყალქვეშა ნივთების ბაზას მეთაურობდა და ოპერაცია „ანადირის“ ფარგლებში კუბაში 42 ცალი ბირთვული ქიბინი ჩაიტანა. იგი უშუალო მონაწილე იყო იმ დრამატული მომენტისა, როდესაც კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის დაწყების წინ იდგა და როგორც მისი მონაგონდანი იტყვევო, სწორედ ქართველ ვიცე-ადმირალ გიორგი აბაშვილს შეუძლია ხელი ამ მსოფლიო დონის კატასტროფის დაწყებისთვის.

„არსენალმა“ სცადა გამოერკვია, თუ ვინ იყო ეს ადამიანი. შწირი ინფორმაციის თანახმად, გიორგი სიძინის ძე აბაშვილი 1910 წლის 7 ოქტომბერს თბილისში დაბადებულია. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის ბალტიის ფლოტის საესკადრო ნაღმოსნების მეორე დივიზიონის მეთაური გახლდათ და რიგის ყურეებში საზღვაო ბრიოლებში მონაწილეობდა. 1944 წელს მისი დივიზიონის საესკადრო ნაღმოსნები ლუბინგრადის გათავისუფლებაში მონაწილეობდნენ.

1962 წელს, კარიბის ბირთვული

კრიზისის დროს, როდესაც მოსკოვმა საიდუმლო ოპერაციის „ანადირის“ შესრულება დაიწყო, დაგეგმილი იყო კუბაში საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მე-5 ფლოტის შექმნა. მის შემადგენლობაში უნდა შეესულიყო 26 სამხედრო ხომალდი, მათ შორის 2 კრესეინი, 2 სარაკეტო საესკადრო ნაღმოსანი, 2 საარტილერიო საესკადრო ნაღმოსანი, 12 სარაკეტო კატარადა, 8 დამხმარე გემი, აგრეთვე, 4 სატორაპელი და 7 სარაკეტო წყალქვეშა ნავი.

იმ დროისთვის უკვე ვიცე-ადმირალი გიორგი აბაშვილი სწორედ ამ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი მე-5 ფლოტის სარდლად დაინიშნა და ფაქტობრივად სწორედ ის უნდა დაპირისპირებოდა ატლანტის ოკეანეში მდღერეობი ბუერად უფრო მძლავრ ამერიკულ სამხედრო ფლოტს.

საბედნიეროდ, კარიბის კრიზისს მესამე მსოფლიო ომში არ გადაიზარდა, რაშიც, როგორც გაირკვა, ერთერთი გადამწყვეტი როლი ჩვენს თანამემამულეს, ვიცე-ადმირალ გიორგი აბაშვილსაც შეუძლებოდა.

**ირაკლი ალადაშვილი**

ფიდელ კასტროსა და ნიკიტა ხრუშჩოვის ავანტურა კინაღამ ბირთვულ ომში გადაიზარდა...



**ჩაჩედიანი:**  
1962 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა კუბაში საიდუმლოდ ბირთვული რაკეტების შეტანა და აშშ-ისთვის დამინუნება გადაწყვიტა, რათაც მთელი მსოფლიო ბირთვული კატასტროფის წინაშე დაეყენა. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი სარაკეტო შეიარაღებით მნიშვნელოვან ჩამორჩებოდა აშშ-ს, მისკავს მხოლოდ რამდენიმე რაკეტა ჰქონდა, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან აშშ-მდე მაღალფენდნენ, მაშინ როდესაც პენტაგონის განკარგულებაში რამდენიმე ასეული ბირთვულქიბინიანი ბალისტიკური რაკეტა იყო. ხრუშჩოვს სურდა აშშ-თან ახლოს, კუბის ტერიტორიაზე სარაკეტო ბაზები აეშენებინა, ისევე როგორც ამერიკელებს თურქეთში ჰქონდათ განთავსებული საბჭოთა კავშირზე (და მათ შორის თბილისზეც) დამინუნებელი ბირთვულქიბინიანი „ოუპიტერის“ ტიპის რაკეტები.

1962 წლის აგვისტო-სექტემბერში საიდუმლო ოპერაცია „ანადირის“ ფარგლებში საბჭოთა კავშირმა კუბაში საფაქტო გეგმებით მაღულად გადაიყვანა 50 ათასამდე სასუბერო მოსახლსურე, საშუალო სიშორის P-12 ტიპის ბალისტიკური რაკეტების ორი დივიზიონი, ფრთოსანი რაკეტების ორი დანაყოფი, 4 მოტომსროლეული პოლკი, 2 სატანკო პატალიონი, 40 გამანადგურებელი MiG-21, 42 ბომბდამშენი Il-28, C-75 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, საზენიტო არტილერიის დანადგარები. ასევე 183P პროექტის 12 ცალი სარაკეტო კატარადა.

მაგრამ ვეღვაზე მნიშვნელოვანი კუბაში 160 ცალი საბჭოთა ბირთვული ქიბინისა და ატომური ბომბის შეტანა გახლდათ, რომელთა პოტენციური სამინუნებელი აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპირო, მათ შორის ვაშინგტონიც და ნიუ-იორკიც იყო. საბჭოთა ბირთვულქიბინიანი რაკეტების აღმოჩენის შემდეგ პრეზიდენტმა კენედიმ კუბის საზღვაო ბლოკადა გამოაცხადა და შზად იყო კუნძულზე შესაჭურვლად. ბოლო მომენტში ხრუშჩოვმა უკან დაიხია და საჯაროდ განაცხადა საბჭოთა რაკეტების კუბიდან გატანის შესახებ, თუმცა მოითხოვა, რომ ამერიკელებსაც გაეტანათ ბირთვულქიბინიანი რაკეტები თურქეთიდან. საბოლოოდ ასეც მოხდა, რაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მოსახლეობისთვისაც, რადგან ამ ამერიკული რაკეტების ბირთვული ქიბინების სამინუნების ჩამონათვალში თბილისიც შედიოდა.



# შექმენი უენი არსენალი

„არსენალის“ ერთგულ მკითხველს მოსწონს ჟურნალებში დაბეჭდილი სამხედრო ტექნიკის ფერადი და ეფექტური სურათები, მაგრამ სულ სხვა განცდაა, როდესაც ხელში იმავე თვითმფრინავისა თუ შვეულმფრინვის სამგანზომილებიან ტრამაზ მოდელს დაიკავებ, რომლის აწყობა მაკრატლისა და ნუბოს გარეშე შეგიძლია.

„არსენალთან“ ერთად თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ საბრძოლო ტექნიკის 3D პაზლები, აწყობო და შექმნათ საკუთარი მინიარსენალი.

ჟურნალებში მოყვანილი იქნება კონკრეტული მოდელის აწყობის ინსტრუქცია, ასევე მისი საბრძოლო ვარიანტის შექმნისა და განყოფილების ჰატარა ისტორია და ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები.

შემცველი მასალით, რათა კაბინაში განთავსებული რადიოელექტრონული აპარატურის გამოსხივებას გარეთ არ გამოეღწია.

ძრავების საქმეებიდან გამონადენი მაღალი ტემპერატურის აირების ინფრაწითელი გამოსხივების შესამცირებლად და შესაბამისად სითბური დამინუნების რაკეტებისგან თავდასაცავად.

## F-117A NIGHT HAWK

მოდელების აწყობის  
ვიდეოსიუვეტები o ხილეთ  
palitrav.ge-ზე

თქვენს განკარგულებაშია ერთ დროს მსოფლიოში გასაიდუმლოებული საბრძოლო თვითმფრინავის — F-117A Night Hawk-ის სამგანზომილებიანი მოდელი.


მხარეს აერეკლა, რათა ისინი ისე რადიოლოკატორის მიმღებ ანტენას არ დაჰპრუნებოდნენ.

თავად კონსტრუქცია დაფარული იყო რადიოშთანმთქვეი მასალით, რომელიც ასევე ხელს უშლიდა რადიოტალღების არეკვლას. პილოტის კაბინის მინები დაფარული იყო ოქროს

„ღამის ქორზე“ მრგვალის ნაცვლად მოგრანო საქმეები ჰქონდა, რომლის ქვედა პანელები სითბოშთანმთქვეი კურამაკული ფილებით იყო დაფარული. ამასთან, საქმეიდან გამოსულ მაღალტემპერატურაიან აირებს ჰაერშიმღებიდან წამოსული ცვივი ჰაერის ნაკადი ეწოდა ტემპერატურის შესამცირებლად.


მიუხედავად მიღებული სპეციალური ზომებისა, F-117A რადიოლოკატორებისთვის აბსოლუტურად „უხილავი“ არ რჩებოდა. რადიოლოკატორი მას მაინც აღმოაჩენდა, ოღონდ მხოლოდ ახლო მანძილზე, რის გამოც საზენიტო საშუალებებს თითქმის აღარ რჩებოდათ დრო რეაგირებისთვის.

1999 წელს ყოფილი იუგოსლავიის მუხენიტეგმა მოძველებული საბჭოთა C-125 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან გამუქებული საზენიტო რაკეტით ერთი ამერიკული F-117A




F-117A-ს, იგივე „ღამის ქორის“, საიდუმლოებას აშშ-ის ხელისუფლება თითქმის ათი წელი დიდი მონდობებით ინახავდა, რადგან იგი ისტორიაში პირველი სერიული საბრძოლო თვითმფრინავი იყო, რომელიც რადიოლოკატორებისთვის მწელად აღმოსაჩენი გახლდათ.

Stealth-ის ტექნოლოგიით აწყობილ ამ საიდუმლო საბრძოლო თვითმფრინავს განსაკუთრებული გეომეტრიული ფიგურები ჰქონდა, რათა მონააღმდეგის რადიოლოკატორის ელექტრომაგნიტური ტალღები სხვა



# „არსენალთან“ ერთად



დაწვევის წინ ამერიკული „ღამის ქორების“ ბენეფისი შედგა. 16 იანვრის ღამეს 10-მა F-117A-მ საულის არაბეთიდან ერაყის სტრატეგიულ ობიექტებს 20 ცალი 907 კგ-იანი მართავდი საავიაციო ბომბი იუველირული სიზუსტით მოახვედრა.


„უღაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის ფარგლებში 42-მა F-117A-მ საერთო ჯამში 7 ათასი სთ-ის ხანგრძლივობის 1271 გაფრენა შეასრულა და 2 ათასი ტონის საერთო მასის ლაზერული დამინევის 2087 მართავდი ბომბი ჩა-

ჩამოაგდეს, რომლის პილოტმაც მოასწრო კატაპულტირება.

სხვა დადასტურებული ფაქტები F-117A-ების ჩამოვდებისა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ „ღამის ქორები“ ხუთ ომში მონაწილეობდნენ.

F-117A-ს საბრძოლო ნათლობა 1989 წლის ბოლოს შედგა, როდესაც აშშ-ის სამხედრო დანაყოფები მეზობელ პანამაში შეიჭრნენ. მასინ ორმა „ღამის ქორმა“ მართავდი საავიაციო ბომბები პანამის არმიის ფაზარმუბზე ჩამოაგდო. ამ რამდენიმედიან ომში „ღამის ქორებს“ დიდი საფრთხე არც ემუქრებოდათ პანამის ძლიერი საჰაერო თავდაცვის სისტემის არარსებობის გამო.

სამაგიეროდ, 1991 წელს ერაყში „უღაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის





F-117A-ს  
პილოტის კაბინა



მოაგლო, მათგან 1669 ბომბი ზუსტად მოხვდა სამიზნეს, 418 კი ასცდა.

„ღამის ქორები“ შეორედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასახლოებად პენტაგონმა 1998 წელს, „უღაბნოს მელიის“ სახელით ცნობილ ოპერაციაში გამოიყენა. ქუეყათის აეროდრომიდან მოქმედი „ღამის ქორები“ ერაყის სტრატეგიულ ობიექტებს დამდამობით სისტემატურად აყენებდნენ „წერტილოვან“ დარტყმებს.

ამერიკული F-117A-ები ერაყის თავზე მესამედ 2003 წლის 20 მარტს გამოჩნდნენ, რაც საბოლოოდ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობით დასაურდა.

„ღამის ქორების“ ავანტიშიზი გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა, რადგან თალიბებს რადიოლოკატორები არ ჰქონდათ და ავღანეთის ცაში ჩვეულებრივი გამანადგურებლე-

ბიც და მოიერიშებიც უპრობლემოდ დაფრინავდნენ.

2008 წლის მიწურულს ყველა F-117A პენტაგონმა შეიარაღებიდან მოხსნა და კონსერვაციაზე დააყენა, საერაოდ, ძვირად ღირებული ექსპლუატაციის გამო.

1983-დან 1990 წლამდე 59 ცალი საბრძოლო F-117A და 5 საცდელი YF-117 აჩვენეს. ერთის ფასი 111 მლნ დოლარს უტოლდებოდა.

ექსპლუატაციის პერიოდში პენტაგონმა ავარიებისა და კატასტროფების გამო 6 „ღამის ქორი“ დაკარგა, მემკვიდე კი იუგოსლავიელმა მუხნიტეებმა ჩამოაგდეს.

„ღამის ქორების“ პილოტები თავიანი თავს „ბანდიტებს“ უწოდებდნენ, 558-ვე „ბანდიტს“ თავისი ნომერი ჰქონდა.



საქართველოს  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა  
და არქივი

მოგვიანებით გამოკვლეული ამერიკული საიდუმლო გეგმა „ღამის-შიფტ-02“-ის თანახმად, თუკი მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, „ღამის ქორებს“ ომის პირველვე წუთებში საბჭოთა სტრატეგიული ობიექტები, საჰაერო თავდაცვის სისტემები, ბირთვული იარაღის საწყობები და ა.შ. უნდა დაეტომბათ საბჭოთა კავშირის საზღვრისპირა რაიონებშიც, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში და ვერძოდ, თბილისის მდებარეობაზე.

საიდუმლო გეგმის თანახმად, თურქეთიდან აფრინილ ამერიკულ „სტელტებს“ მოულოდნელად უნდა შეეტვათ შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ საბჭოთა ლიდერების აგარაკებზე.

**ირაკლი ალადაშვილი**

**F-117A Night Hawk-ის**

**ტექნიკურ-ტექნიკური მონაცემები:**

- სიგრძე — 20 მ
- სიმაღლე — 3,8 მ
- ფრთავშლილობა — 13,2 მ
- ფრთის ფართობი — 73 კვმ
- მახა:
- ცარიელი — 13,4 ტ
- ნორმალური — 21 ტ
- მაქსიმალური — 24 ტ
- საბრძოლო დატვირთვა — 2,5 ტ-მდე
- საწვავი — 5,5 ტ
- ძრავა — 2 ტურბოროექტიული
- სიჩქარე:
- მაქსიმალური — 993 კმ/სთ
- კრიოსერული — 965 კმ/სთ
- ფრენის სიშორე — 1720 კმ
- საბრძოლო მოქმედების რადიუსი — 860 კმ
- ფრენის „ჯგერო“ — 13,7 კმ
- მაქსიმალური გადატვირთვა — 6g

„ღამის ქორი“ აეროდრომზე  
ახე გადაჰყავთ...



# შექმენი შენი ახსნანი „ახსნანთან“ ერთად



## 27-აპრილიდან - 11 მაისამდე

ოხ ჰვიჩაში ერთხან, შეიძინეთ ვაჟანთან ერთად  
საბმძღოლო ტანინის თითო ახსნაოზი მოდელი

ანყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის  
მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით  
მაკრატლისა და ნებოს გარეშე

ორი მოდელი ერთის ფასად  
შვეულფრაენაი

**UH-1H**

„იროკეზი“

და

**Ka-50**

„შავი ზვიგანი“

მოდელის აწყობის ვიდეოინსტრუქცია  
ინილათ [palitratv.ge](http://palitratv.ge)-ზე



არსენალი

თითოეული 3D მოდელის  
ფასი: 3,5 ლარი  
შარნალთან ერთად 5 ლარი.

**3D**

ასაწყობი  
მოდელი





# 16-ვაზნიანი საფანტის ტოფი

**აპრიკელ საზღაო კვითიავს ნახვრად ავგოვაგურ გლუვლიან საგროლო  
თოფს სთავაზოვენ, როლის გასროლას შეუჩარავლივ 16-ჯერ შეიძლება**

საფანტის გლუვლიან საბრძოლო თოფებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეცდანიშნულების რაზმები ხშირად იყენებენ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებთან, საიერიშო შაშხანებთან

თუ მსუბუქ ტყვიამფრქვევებთან ერთად. შეიძლება საფანტის თოფის სროლა არც ძალიან დიდი სიზუსტით და არც სისიჩქარით გამოირჩევა, მაგრამ ახლო მანძილზე და თანაც შენობებში

ბრძოლისას შეუცვლელია, თუნდაც ჩაკეტილი კარის საკეტების დასატყვევად.

თუკაც საფანტის თოფს ერთი მინუსი აქვს, — მის მჭიდში (თუკი თოფი დგომიანია) 5-7 თოფის ვაზნა თუ ეტევა, ჩვეულებრივ ერთლულიან გლუვლულიან თოფს კი მხოლოდ ერთი გასროლა შეუძლია, რის შემდეგაც მისი ხელახლა დატენა, ანუ ახლო ბრძოლაში ასე საჭირო წამების დახარჯვა საჭირო.

ამერიკულმა საიარალო კომპანია SRM Arms Inc-მა გაითვალისწინა საბრძოლო საფანტის თოფების ეს ნაკლი და აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის შესთავაზა ახალი ტიპის ნახევრად ავტომატური საფანტის თოფი.

ახალი იარაღი სახელწოდებით SRM Model 1216 იმით გამოირჩევა, რომ მი-

რეკლავრის დოლურის ფორმის მქონე ოთხგანყოფილებიანი მჭიდიდან 16-თე ვაზნის გახარჯვის შემდეგ მსროლელი წინიდან ხსნის მჭიდს ახალი ვაზნებით დასატენად




სი დატენა 12 კალიბრის 16 თოფის ვაზნით შეიძლება.

16-ეე ვაზნის განთავსება თოფის ლულისქვეშა წაგრძელებული ფორმის მჭიდში შეუძლებელია, რადგან იარაღის სიგრძე უსაშველოდ გაიზრდება. ამიტომაც ამერიკელმა ინჟინრებმა სხვა გზა აირჩიეს, — ოთხი წაგრძელებული მჭიდი ერთად, რეოლვერის

**SRM Model 1216-ის თითოეულ მილისებრ მჭიდში 12 კალიბრის ოთხი თოფის ვაზნა ეტყვა**

**ლულის ორეე მხარეს განთავსებული ბერკეტებით მსროლელი ოთხმილიანი მჭიდი მარცხნივ ან მარჯვნივ ატრიალებს**



დოლ ურის მსგავსად განათავსეს თოფის ლულის ქვეშ.

თითოეულ მილისებრ მჭიდში თოფის 4 ვაზნა ეტყვა. როდესაც ერთი მჭიდიდან 4 ვაზნა გაიხარჯება, მსროლელი ხელით, ერთი ნაბიჯით ატრიალებს მჭიდების დოლურას და სროლას აგრძელებს.

იარაღში გამოყენებულია საფანტი-

ანი თოფებისთვის უცხო სქემა — ნახევრად თვისუფალი საკეტით მოქმედი ავტომატიკა. საკეტის დაღების შეტელება ორი წვეილი გორგოლაჭით ხდება, დაახლოებით ისევე, როგორც Heckler und Koch-ის საქვეყნოდ ცნობილ MP5 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრევეში.

თოფში გამოყენებულია „ბულბაპის“ სქემა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მთლიანად იარაღის სიგრძეს, რის გამოც SRM Model 1216-ის დამოკლებული ვარიანტების SRM Model 1212-ისა SRM Model 1208-ის თვისუფლად გაყიდვა შეზღუდულია. მხოლოდ საქვალური ლიცენზიით იყიდება აშშ-ში.

თუკი 1216-ის საერთო სიგრძე 864

მმ-ია (აქედან ლულაზე 457 მმ მოდის), 1212-ის სიგრძე 711 მმ-ია (ლულა — 330 მმ) შემცირებული, ხოლო 1208-ის კი 636 მმ-მდე (ლულა — 254 მმ).

სიგრძის შემცირება ოთხმილიანი საუზნე დოლურის სიგრძის დაკლებების ხარჯზე მოხდა, რის გამოც თუკი 1216-ში 16 ვაზნა ეტყვა, 1212-ში — 12, ხოლო 1208-ში კი შესაბამისად 8 ვაზნა.

სროლის ნახევრად ავტომატური რეჟიმში საკეტანხელს საშუალებას აძლევს სროლა მალაღ ტემპით აწარმოოს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დერეჟანში მოქმედადღების მოულოდნელად გამოჩენისას, თანაც მსროლელი დროს არ ხარჯავს ხელით გადტენისთვის, რაც აუცილებელია დგუშაინი „უინესტრის“ სასროლად.

ნახევრად ავტომატური საფანტის თოფის SRM Model 1216-ის ფაზი აშშ-ის იარაღის მალაზიებში დაახლოებით 2,399 დოლარია.

**იარაღი ალადაზიშილი**



**SRM Model 1216**



**SRM Model 1212**



**SRM Model 1208**

**ჩვენი დროსი:** ნახევრად ავტომატური საფანტის თოფის SRM Model 1216-ის სიგრძე 876 მმ-ია, მას (ვაზნების გარეშე) 3,4 კგ. ოთხმილიანი დოლურის ტიპის მჭიდში 16 ცალი 12 კალიბრის ვაზნა ჩადის. SRM Model 1212-ის სიგრძე 711 მმ-ია, ლულის კი 330 მმ, ვაზნების რაოდენობაც 12-მდეა შემცირებული. SRM Model 1208 ეველაზე მოკლე ვარიანტს წარმოადგენს. მისი საერთო სიგრძე მხოლოდ 636 მმ-ია, ლულის კი 254 მმ-ი. ვაზნების მარაგიც რვაშდეა დაყვანილი.





საგარეო  
სამხრეთი

661/14

F1557  
საგარეო  
სამხრეთი  
2012



**SRM MODEL 1216**